ნეონატოლოგიის დეპარტამენტი

ემერიტუსი ირაკლი ფავლენიშვილი

პროფესორი ხათუნა ლომაური
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი თამარ გოთუა

ნეონატოლოგიის დეპარტამენტი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პედიატრიისა და ნეონატოლოგიის კათედრა დაარსდა 1935 წელს (მაშინდელი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში) პროფესორ ილია ლორთქიფანიძის თაოსნობით, 2006 წელს გაერთიანდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის, ხოლო 2017 წელს პედიატრიის მიმართულების შემადგენლობაში.
კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ილია ლორთქიფანიძე (1935–1940), პიმენ ნანეიშვილი (1940–1944), მარიამ უგრელიძე (1944-1947), მარიამ ბოკერია (1947–19740, გურამ ნიჟარაძე (1974- 1988). 1988 წლიდან კათედრას (შემდეგ – დეპარტამენტს) ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი.

აკადემიური პერსონალი:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ხათუნა ლომაური, ასოცირებული პროფესორი თამარ გოთუა.

დეპარტამენტში სტუდენტების სწავლებასთან ერთად ხორციელდება დიპლომისშემდგომი (რეზიდენტთა მზადება) და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები, აგრეთვე ახალშობილთა აქტუალური პრობლემების მეცნიერული კვლევა.
სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის გამოცემულია სახელმძღვანელოები: ,,ახალშობილთა დაავადებები", ,,ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სეფსისი", ,,ფილტვის არასპეციფიკური დაავადებები ბავშვთა ასაკში", ,,გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ბავშვთა ასაკში", აგრეთვე ნათარგმნია ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის (ჯონ კლოჰერტი და თანაავტ.) სახელმძღვანელო ,,ნეონატოლოგია".